

ხმის როლი დოკუმენტურ ფილმში

ნარგიზა კანკია, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი

The Role of Voice in Documentary Film

Nargiza Kankia, Associate Professor

David Aghmashenebeli University of Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2025.11.01.07>

Abstract

Voice (in this case, referring to spoken word) plays a significant role in documentary film; however, its importance largely depends on the type of documentary in question. For instance, in newsreel-style documentaries, the role of the spoken word is minimal. In contrast, in analytical documentaries, the narration addresses not only what happened, where, and when, but also explores how, why, and to what end an event occurred. In such analytical documentaries, both on-screen sound (interviews, so-called “stand-ups,” etc.) and off-screen commentary are essential. The commentary may be read either by the author or by an actor.

The texts of analytical documentaries and documentary essays also differ in style. The essay belongs to a more artistic genre, and therefore, its voice-over commentary tends to be more expressive and stylistic. It is also important to emphasize that in analytical documentary film word and image should complement each other. It is undesirable for narration to merely describe what is already clearly visible to the viewer.

Keywords: Documentary film; Commentary; Chronicle; Interview.

აბსტრაქტი

დოკუმენტურ ფილმში დიდ როლს ასრულებს ხმა (ამ შემთხვევაში იგულისხმება სიტყვა), მაგრამ მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ფილმთან

გვაქვს საქმე. მაგალითად, ქრონიკაში სიტყვის როლი მინიმალურია, მაშინ, როდესაც ანალიტიკურ დოკუმენტურ ფილმში პასუხები გაცემულია არა მარტო იმაზე, თუ რა მოხდა, სად და როდის, არამედ იმაზეც, თუ როგორ, რატომ და რა მიზნით მოხდა ეს ფაქტი. ანალიტიკურ დოკუმენტურ ფილმში მნიშვნელოვანია როგორც კადრს შიგნით ხმა (ინტერვიუები, ე.წ. „სტენდ-აფი“...) ისე კადრსგარე კომენტარები. მას შეიძლება კითხულობდეს როგორც ავტორი, ისე მსახიობი.

ანალიტიკური დოკუმენტური ფილმის და ნარკვევის ტექსტებიც განსხვავებულია - ნარკვევი მხატვრულ ჟანრს განეკუთვნება, ამიტომ აქ კადრსგარე კომენტარები უფრო მხატვრულია. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ანალიტიკურ დოკუმენტურ ფილმში სიტყვა და გამოსახულება ერთმანეთს უნდა ავსებდეს. ცუდია, როცა გვესაუბრებიან იმაზე, რასაც ჩვენ ისედაც ვხედავთ.

საკვანძო სიტყვები: დოკუმენტური ფილმი; კომენტარი; ქრონიკა; ინტერვიუ.

როგორც ცნობილია, კინემატოგრაფის შექმნა უკავშირდება ძმებს-ოგიუსტ და ლუი ლიუმირებს. მათ თავისი გამოგონება აჩვენეს პარიზში, 1895 წლის ბოლოს. ამ ფილმების უმრავლესობა ქრონიკებს წარმოადგენდა და ის უხმო იყო. დროთა განმავლობაში ამ დანაკლისის შევსება აუცილებელი გახდა.

სანამ ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა როლს ასრულებს ხმა დოკუმენტურ ფილმში, საინტერესოა გავიგოთ, როგორ შემოვიდა ხმა საერთოდ კინემატოგრაფში და როგორ შეხვდნენ მას კინოს უდიდესი წარმომადგენლები. დავიწყეთ იმით, რომ ხმოვან გამოსახულებას ჯერ კიდევ 1889 წელს ედისონის ლაბორატორიაში მიაგნეს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულებას ხმაც ახლდა, ედისონმა, რომელიც მართლაც ძალიან დიდი გამოგონების ავტორია, წააგო ძმებ ლიუმირებთან და ამის მიზეზი იყო ის, რომ ეკრანი პატარა იყო და მისი ნახვა მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1906 წელს გამოიგონეს „ლოსტის აპარატი“, რომელსაც შეეძლო კინოში ხმის პრობლემის გადაჭრა, მაგრამ მისი გამოყენება მეოცე საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევრამდე არ უცდიათ.

შემდეგ წლებში, ხმისა და გამოსახულების შერწყმის პროცესს, ხელი შეუშალა სხვადასხვა ფაქტორმა - ტექნიკის განუვითარებლობამ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ, კინოკომერსანტების ფინანსურმა გათვლებმა...

კინემატოგრაფი ხმის დანაკლისს თავდაპირველად ავსებდა მუსიკალური გაფორმებით, შემდეგ კი ტიტრებითაც (კინოში ტიტრს პირველად ხმის დანიშნულება მისცა დ. გრიფიტმა თავის „ერის დაბადებაში“- 1914 წ.).

პირველი ხმოვანი ფილმი კი იყო „დონ ჟუანი“, რომლის პრემიერა შესდგა 1926 წლის 6 აგვისტოს. ხმის შემოსვლის საკითხს კინემატოგრაფისტები სხვადასხვანაირად შეხვდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ ჩარლი ჩაპლინი ამ ფაქტს უარყოფითად აფასებდა. ცხადია, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მოგვიანებით მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხმის შემოსვლა კინოში აუცილებლობა იყო.

რაც შეეხება ხმის როლს დოკუმენტურ ფილმში, ის ხმას დასაწყის ეტაპზე დიდად არც ითხოვდა. პატარა ქრონიკებში ასახული ფაქტები თავის თავზე თვითონვე მეტყველებდნენ, მაგრამ დოკუმენტური ფილმის შემდეგმა განვითარებამ, ხმის აუცილებლობის პრობლემა აქაც დააყენა. თანამედროვე პერიოდში ხმას (სიტყვას) დიდი როლი ეკისრება დოკუმენტურ ფილმში, თუმცა, მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ფილმთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ქრონიკაში (დღეს კინოდოკუმენტალისტიკაში ის აქტუალური არც არის, რადგან ინფორმაციის გავრცელების ლომის წილს ტელევიზია ასრულებს) სიტყვის როლი მინიმალურია, ან საერთოდ, შეიძლება არც ჰქონდეს, მაშინ, როდესაც ანალიტიკური დოკუმენტური ფილმი პასუხობს არა მარტო კითხვებს -სად, რა, როდის, არამედ მასში პასუხებია გაცემული იმაზეც, თუ როგორ, რატომ და რა მიზნით მოხდა ის (თანამედროვე პერიოდში სწორედ აქ იყენებენ ხშირად ქრონიკებს). ასეთ ფილმებში, გარდა იმისა, რომ გამოყენებულია დოკუმენტური მასალები ფოტო და ვიდეოს სახით, კომპიუტერული გრაფიკა და სხვ., ვხვდებით ინტერვიუებს სხვადასხვა ადამიანებთან. ცხადია, ამ დროს საჭიროა მათი სწორად შერჩევა - ისინი უნდა იყვნენ ის პიროვნებები, ვინც მნიშვნელოვან ინფორმაციებს ფლობენ და, ამავე

დროს, შეუძლიათ ფილმში აღწერილი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ საინტერესო, არგუმენტირებული კომენტარების გაკეთება.

ანალიტიკურ დოკუმენტურ ფილმში, სადაც განიხილავენ, აანალიზებენ ფაქტებსა თუ მოვლენებს, გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც კადრს შიგნით ინტერვიუები, ისე კადრს გარეთ ხმა, ანუ კომენტარი მიმდინარე ფაქტებისა. მას შეიძლება კითხულობდეს როგორც ავტორი, ისე მსახიობი. მაგალითად, თომა ჩაგელიშვილის ფილმებში („სიკვდილით დასჯა“, „აგვისტოს ომი“ და სხვ.) კადრსგარე ტექსტს კითხულობს მსახიობი დიმიტრი ტატიშვილი. მაგრამ ამ ფილმებში ხშირია ინტერვიუებიც სხვადასხვა ადამიანებთან, რომელსაც თვითონ ავტორი წარმართავს, მაგალითად, ფილმში „სიკვდილით დასჯა“ ვხედავთ, როგორ ეკითხება თომა ჩაგელიშვილი პროკურორს ამ თემასთან დაკავშირებულ ფაქტებზე.

კადრსგარე ტექსტის მნიშვნელობაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კატეგორიას განეკუთვნება ფილმი. მაგალითად, „ბი-ბი სის“ დოკუმენტურ ფილმში „ბუნების შვიდი საოცრება“ მთავარია გამოსახულება, რომელსაც ავსებს კადრს გარეთ კომენტარი. ის ამ შემთხვევაში, მეტი ინფორმაციის მიღების საშუალებაა. (მაგალითად, რა სიმაღლის არის ჩანჩქერი, რომელსაც კადრში ვხედავთ).

კინოს სპეციალისტები ასახელებენ დოკუმენტური ფილმების ქვესახეებსაც, რომელთა შორის ერთ-ერთი მათგანია ფილმი-მონოლოგები. ასეთ ფილმებში კადრს გარეთ ტექსტს კითხულობს გამოჩენილი პიროვნება, ასახული მოვლენების მონაწილე. მონოლოგური დოკუმენტური კინოს სათავეებთან იდგა დიდი ამერიკელი მწერალი-ერნესტ ჰემინგუეი (ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ ფილმებში).

საქართველოში ფილმი-მონოლოგების მაგალითად, შეიძლება დასახელდეს რეზო თაბუკაშვილის ფილმები. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორია და რა როლი აქვს სიტყვას რეზო თაბუკაშვილის ფილმებში, მოვიშველიეთ პაატა ნაცვლიშვილის წიგნი „ბედნიერი ჭირისუფალი“, სადაც ის წერს: „რეზო თაბუკაშვილის ფილმები მწერლური, პოეტური ფილმებია. თავად რეზო თაბუკაშვილი კი, პირველ ყოვლისა, მწერალი გახლავთ, მწერალი-პუბლიცისტი, მწერალი-დოკუმენტალისტი,

კინომწერალი. მისი კინოპუბლიცისტიკა პოეტური კინოპუბლიცისტიკაა.“ (პაატა ნაცვლიშვილი, „ბედნიერი ჭირისუფალი“, 1999, გვ.22). წიგნის ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რეზო თაბუკაშვილის საუბრის მანერას, მეტიც, ის აღრფთოვანებულია იმ ოსტატობით, რასაც ფილმის („ალბური რასკვლავი“) რეჟისორი ავლენს თუნდაც გარდაცვლილთა გვარების დასახელებისას: “იტალიაში ყოფნისას მივაკვლიეთ აქამდე უცნობ არქივებს და დღეს ამ ფილმში პირველად დავასახელებთ ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრთა 80 გვარს”, ამბობს ფილმის ავტორი და მშრალად, „უემოციოდ“ ჩამოთვლის ამ გვარებს, მაგრამ სწორედ ამაშია ამ კადრების ემოციურობა“ (პ. ნაცვლიშვილი, გვ.30).

ფილმ-მონოლოგს განეკუთვნება მიხეილ რომის „ჩვეულებრივი ფაშიზმი“, სადაც ფაშიზმისა და დიქტატურის ამსახველ კადრებს (მეორე მსოფლიო ომის დროს), რეჟისორის კადრს გარეთ ტექსტი მეტ ტრაგიკულობას და ემოციურობას სძენს. მ. რომის კომენტარები იმდენად გულწრფელი და ამაღელვებელია, რომ მაყურებელი მას სულგანაბული უსმენს, იაზრებს, აანალიზებს და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებს. ამისთვის ფილმის ავტორი სხვადასხვა ხერხებს იყენებს, მაგალითად, ის უშუალოდ მიმართავს მაყურებელს, რაც მას ინტიმურ ხასიათს სძენს. ასევე, რეჟისორი წინასწარ აცნობს აუდიტორიას, რას დაინახავენ ისინი მომდევნო წუთებში, რითაც ამზადებს მათ უფრო ყურადღებით დააკვირდნენ ხსენებულ ფაქტს. ეფექტურ ხერხად მიგვაჩნია ასევე, მნიშვნელოვანი წინადადების, თუ სიტყვის რამდენჯერმე გამეორება, მაგალითად, მ. რომი, ომის დროს პატარა ბიჭის მოკვლის ფაქტს, ასე აღწერს: „ესროლეს დამიზნებით, ესროლეს დამიზნებით, ესროლეს დამიზნებით“- ის თითოეულ ჯერზე, ამ ორი სიტყვის წარმოთქმის დროს, ცვლის ხმის ტონალობას, აკეთებს პაუზებს.

„ჩვეულებრივი ფაშიზმის“ ყურების დროს, ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს ახლა, ამ წუთში აანალიზებს ავტორი ეკრანზე მიმდინარე ფაქტებს, ახლა განიცდის და ახლავე გიზიარებს იმას, რასაც გრძნობს... ეს იმპროვიზაციაა, არავითარი წინასწარ დაწერილი და დაზეპირებული...აღმოჩნდა, რომ მ. რომი ამას მართლაც კადრების მსვლელობის ყურებისას აკეთებდა (რაც ჩვენ მოგვიანებით გავიგეთ) - ამ ფილმის გახმოვანების შესახებ, რეჟისორი შემდეგ იხსენებდა, რომ, როცა მან კოლეგებს

„ჩვეულებრივი ფაშიზმი“ აჩვენა, სადიქტორო ტექსტი არც ჰქონდა მზად და პირდაპირ, ფილმის დემონსტრირებისას დაურთო მას კომენტარები. იქ მყოფ აუდიტორიას ძალიან მოსწონებია ეს ნამუშევარი...ფილმის საბოლოოდ დამთავრების შემდეგ, მიხეილ რომს, მისთვის საგანგებოდ დაწერილი კადრსგარე ტექსტით, ისევ წარუდგენია ის თანამშრომლებისთვის...მათ კი არც დაუმაღავთ, რომ მათთვის ეს ფილმი, პირველი ჩვენების დროს, უფრო შთამბეჭდავი იყო. რეჟისორს გაუთვალისწინებია ეს აზრი... აქედან შეიძლება გაკეთდეს ის დასკვნა, რომ მიხეილ რომის ამ ნამუშვრის წარმატების მიზეზი, უნიკალური კადრების და საოცარი მონტაჟის გარდა, მისი ხმოვანი ნაწილის ინდივიდუალურობაშიც მდგომარეობდა.

თანამედროვე პერიოდში თვითონ დოკუმენტურმა ფილმმაც ტელევიზიაში გადმოინაცვლა და აქ დაიმკვიდრა ადგილი. ცხადია, ამ პერიოდში მან აითვისა ტელეეკრანის დამახასიათებელი თვისებები და ისე წარმოუდგა მაყურებელს. მაგალითად, სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმებში ძალიან ხშირად ვხვდებით ე. წ. „სტენდ-აფებს“, სადაც ავტორი კადრში შემოდის და პირადად ესაუბრება მაყურებელს. ეს უშუალობა, ინტიმურობა სწორედ ტელევიზიის სპეციფიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. მაყურებელს აინტერესებს არა მარტო ის, თუ რას ეუბნებიან მას ეკრანიდან, არამედ ისიც, თუ როგორია ეს ადამიანი- როგორი ჟესტები, მიმიკა ახლავს ამ საუბარს. თანაც, რაც უფრო ავტორიტეტულია ეს პიროვნება, მით მეტი იქნება ამ ფილმისადმი ინტერესი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ცნობილი დოკუმენტალისტის - დევიდ ეტენბოროს- „პლანეტა დედამიწა“. ეს არის „ბი-ბი-სის“ პროდუქცია და ის ერთ-ერთ საუკეთესო და ძვირადღირებულ პროექტად არის აღიარებული. „პლანეტა დედამიწაში“ დევიდ ეტენბორო მრავალ საინტერესო ინფორმაციას აწვდის მაყურებელს ტყეების, უდაბნოების, კუნძულების, ზღვების, ოკეანეების და დედამიწის სხვა ადგილების შესახებ. ამ ფილმის ასეთი პოპულარულობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად (არა ერთადერთ), ალბათ, თვით ავტორის დიდი ავტორიტეტი უნდა დასახელდეს. ვფიქრობთ, ამ ფაქტს უკავშირდება ისიც, რომ 10 წლის მერე, „სერ ეტენბოროდ“ წოდებული ეს უდიდესი პიროვნება, „პლანეტა დედამიწა-2“-ში ფილმის დასაწყისშივე გამოჩნდება ეკრანზე

და ხსნის მეორე ნაწილის გადაღების მიზეზებს, ის აქვე მომავალი ფილმის მიზანსაც გვიზიარებს- კერძოდ, ის ამბობს, რომ 10 წლის წინ „პლანეტა დედამიწის“ სერიებში მრავალი საოცრება გვიჩვენეს, მაგრამ დღეს ბევრი რამ შეიცვალა და ახლა შეუძლიათ ჩვენს პლანეტაზე არსებული სიცოცხლე სრულიად ახალი გზით დაგვანახონ - იმაზე ახლოს მიგვიყვანონ ცხოველებთან, ვიდრე ოდესმე, პირველად გვიჩვენონ ველური სამყაროს ახალი დრამა...

თანამედროვე ქართულ სატელევიზიო დოკუმენტალისტიკაში ვხვდებით სვადასხვა თემატიკის, ჟანრის და დონის ფილმებს...სამწუხაროა, რომ ზოგიერთ მათგანში ხმას თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს. ჩვენ ახლა ამ ფილმების განხილვას არ შევუდგებით, მაგრამ იმას მაინც ვიტყვით, რომ ცუდია, როცა გვესაუბრებიან იმაზე, რასაც ჩვენ ისედაც ვხედავთ.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ანალიტიკური დოკუმენტური ფილმის ტექსტი და ნარკვევის ტექსტიც ერთმანეთისგან განსხვავდება. რადგან ნარკვევი მხატვრულ ჟანრებს განეკუთვნება, მასში ვერბალური მხარეც უფრო მხატვრულია - აქ ხშირად ვხვდებით შედარებებს, მეტაფორებს, ჰიპერბოლებს და ა. შ.

ამ მხრივ საინტერესოა გიორგი კალანდიას თითქმის ყველა ფილმი. მაგალითად, ის „შირაზულ გოლგოთაში“ ქეთევან დედოფალზე გვეუბნება, რომ დედოფალი სულ სახლში იჯდა... ზოგჯერ ხანის ჰარამხანაში დატყვევებული ქართველი ქალების გასამხნეველად თუ გამოდიოდა.... ამ დახასიათებას კი ეს სიტყვები მოჰყვება: “მისი ლამაზი შავი თვალები ირაკლავდნენ იმას, რაც მის სულში ხდებოდა”

გ. კალანდიას სხვა ფილმი-„აღმოსავლეთის მზე“ –„გურჯი ხათუნი“ (ეხება თამარ მეფის შვილიშვილის ცხოვრების ისტორიას) აუდიტორიის ყურადღებას იქცევს არა მარტო ლამაზი კადრებით (გათამაშებული სცენები) და საინტერესო ამბების მოყოლით, არამედ იმიტაც, რომ აქ სიტყვები ყოველი სიტუაციისთვის საგანგებოდ არის შერჩეული. ამას ადასტურებს გურჯი ხათუნის მიმართ წარმოთქმული ეს სიტყვებიც: „ის იყო ყველაზე ლამაზი, ყველაზე განათლებული, მასთან მეგობრობაზე ოცნებობდნენ, მასზე ლეგენდები იქმნებოდა... ჩვენც ამ სულის სამებრად გავეშურეთ...“

დოკუმენტურ ფილმში ხმაზე და ხმის როლზე, კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას - სიტყვის გარდა, მასში დიდ როლს ასრულებს მუსიკა და სხვადასხვა ხმებიც - ხმაური, შრიალი... ცნობილი ფაქტია, რომ ცოცხალი ხმები ამდიდრებენ ნაწარმოების დოკუმენტურობას, მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელოვანია სიჩუმეც, მეტიც- სიჩუმეში ნაკლები გამომსახველობა არაა... ამ საკითხებზე მსჯელობა კი ძალიან შორს წაგვიყვანდა, ამიტომ, აქ დოკუმენტურ ფილმში მხოლოდ სიტყვის როლსა და მნიშვნელობაზე გავამახვილეთ ყურადღება.

დასკვნა : დოკუმენტურ ფილმში სიტყვის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენება, სხვადასხვა კატეგორიის ფილმებში, ერთნაირად არ ხდება.

განსაკუთრებით დიდი დატვირთვა აქვს სიტყვას ანალიტიკურ დოკუმენტურ ფილმში- აქ გამოყენებულია როგორც კადრსგარე ტექსტი, ისე ინტერვიუები და კომენტარები კადრს შიგნით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ასეთ ფილმებში ხმა და გამოსახულება ერთმანეთს უნდა ავსებდნენ.

ნარკვევში ტექსტი უფრო მხატვრულ ელფერს იძენს, რაც მაყურებლის ემოციებს აძლიერებს, მაგრამ აქ საჭიროა ზომიერება და დახვეწილი სტილი- გადამეტებამ და ხელოვნურობამ, შეიძლება, უარყოფითი შედეგი გამოიღოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაატა ნაცვლიშვილი, „ბედნიერი ჭირისუფალი“, 1999
2. ნათია ამირეჯიბი, „დროთა ეკრანი“, 1990